



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტციხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. დოქტ. მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი (ოსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის გამომწვევები და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ზოლოდროინდელი ცვლილებები

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი **ლანა ცანავა**, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი

1

გადაწყვეტილებების კომენტარები

საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ჭრილში: საქმე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (N9043/05)

ასისტენტი, სამართლის დოქტ. **ანრი ოხანაშვილი** LL.M. (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე/დოქტორანტი **ბაჩანა სურმავა**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

7

კაზუსის ამოხსნა

კაზუსის ამოხსნის მეთოდობა გერმანულ სისხლის სამართალში – სტუდენტის პერსპექტივიდან დანახული დოროთეა ქნირში, იურიდიული ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი)

17





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანეკე პეტცუე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2021 წლის პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
მარია ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
ნიკოლოზ მალრაძე LL.M. (ფრაიბურგი), ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლევან კასრაძე LL.M. (ოსლო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

2021 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის გამომწვევები და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი **ლანა ცანავა**, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი

I. შესავალი

სქესობრივი დანაშაულის ჩადენა ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფაა, რაც მსხვერპლს ართმევს შესაძლებლობას, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობით, წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლებით. გაუპატიურება და სხვა სქესობრივი დანაშაული არის ადამიანის ღირსებასა და მსხვერპლის სექსუალურ ავტონომიაზე თავდასხმა.¹

ადამიანის უფლებების დაცვის ბევრი საერთაშორისო და რეგიონული აქტი სახელმწიფოებისგან მოითხოვს აქტიურ ქმედებებს ბავშვების, ქალებისა და სხვა დაუცველი პირების სქესობრივი ძალადობისგან დასაცავად, სქესობრივი დანაშაულის ეფექტიანად გამოვლენისა და გამოძიების უზრუნველსაყოფად, ასეთი დანაშაულისა და მისი რეციდივის თავიდან აცილების ღონისძიებების გასატარებლად.²

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება, პირველ რიგში, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას საჭიროებს. საქართველო, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე მხარე, ვალდებულია თავისი კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს დაუახლოოს.

ამ სტატიაში წარმოდგენილია სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის თაობაზე სახელმწიფოს პოზი-

ტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებების მიმოხილვა.

II. ლანსაროტის კონვენცია

ბავშვთა მიმართ სქესობრივ ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სქესობრივი ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია (ლანსაროტის კონვენცია).³ ეს კონვენცია ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობის თავიდან ასაცილებლად, მსხვერპლის დასაცავად და დამნაშავის დასასჯელად მრავალმხრივ სამართლებრივ ჩარჩოს ადგენს. საქართველომ მისი რატიფიცირება 2014 წლის 19 მარტს მოახდინა.⁴

ბავშვთა მიმართ სქესობრივ დანაშაულთა განმეორებით ჩადენის რისკის თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ლანსაროტის კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მთელ რიგ ვალდებულებებს უდგენს. მათ შორის არის შემდეგი ვალდებულებები:

- სახელმწიფომ სქესობრივი დანაშაულების ჩადენისთვის უნდა დაადგინოს ქმედითი, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე შეზღუდვები. ისინი სისხლის სამართლებრივ სანქციებთან ერთად შესაძლოა მოიცავდეს

¹ იხ. *Right to Be Free from Rape, Overview of Legislation and State of Play in Europe and International Human Rights Standards*, Amnesty International, 2018, გვ. 3 <https://www.amnesty.org/download/Documents/EUR0194522018ENGLISH.PDF> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

² იხ. *Right to Be Free from Rape, Overview of Legislation and State of Play in Europe and International Human Rights Standards*, Amnesty International, 2018, გვ. 3. <https://www.amnesty.org/download/Documents/EUR0194522018ENGLISH.PDF> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

³ იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

⁴ იხ. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 19 მარტის N2145-III დადგენილება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2291107?publication=0> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

ისეთ შეზღუდვებსაც, როგორებიც არის: დამნაშავისთვის კომერციული საქმიანობის უფლების დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევა, საზოგადოებრივი სიკეთით ან დახმარებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, მასზე სასამართლო ზედამხედველობის დანესება. სახელმწიფოს შეუძლია მსჯავრდებულს, სასჯელის გარდა, დაუნესოს აგრეთვე მონიტორინგის ან ზედამხედველობის ღონისძიებები;⁵

- დამნაშავეს დროებით ან სამუდამოდ უნდა აეკრძალოს ისეთი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელიც ბავშვთან კონტაქტს ითვალისწინებს;⁶
- სქესობრივი დანაშაულების თავიდან აცილებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა ვინაობასა და გენეტიკურ პროფილთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და შენახვა.⁷

ამრიგად, სქესობრივი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ლანსაროტის კონვენცია სახელმწიფოსგან პროაქტიული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რაც, სასჯელის გარდა, მოიცავს ასევე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირებას მონიტორინგისა და ზედამხედველობის სხვადასხვა ღონისძიების გატარების მეშვეობით. სახელმწიფომ ამ ვალდებულებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, რადგან სქესობრივ დანაშაულს მსხვერპლისთვის გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს, ამ ზიანის ანაზღაურება

კი შეუძლებელია, მათ შორის, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფითა და დამნაშავის დასჯით.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ „სქესობრივი ძალადობა უდავოდ საზარელი დანაშაულია, რომელსაც მსხვერპლისთვის გამანადგურებელი შედეგი მოაქვს. ბავშვებსა და სხვა დაუცველ პირებს უფლება აქვთ, დაიცვას ისინი სახელმწიფომ და ეფექტიანად აღიკვეთოს მათი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში ასეთი უხეში ჩარევა.“⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „მ. პ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“ არაერთხელ უთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ევალებათ, უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ დაიცვას ადამიანი წამებისაგან, მათ შორის, კერძო პირის მიერ ჩადენილი წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს ფიზიკურ პირთა, განსაკუთრებით კი ბავშვთა, დაცვას, რადგან ბავშვები ძალადობის მიმართ განსაკუთრებით დაუცველი არიან. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები აქვს კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებშიც, პირადი ცხოვრების დაცვის მოვალეობიდან გამომდინარე; ამავე დროს, სათანადო ღონისძიებების გატარება შეიძლება მოიცავდეს კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობებში ჩარევასაც.⁹

⁵ იხ. „სექსუალური ექსპლუატაციისა და სქესობრივი ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანსაროტის კონვენციის) 27-ე მუხლი <https://matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

⁶ იხ. „სექსუალური ექსპლუატაციისა და სქესობრივი ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანსაროტის კონვენციის) 27-ე მუხლი <https://matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

⁷ იხ. „სექსუალური ექსპლუატაციისა და სქესობრივი ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანსაროტის კონვენციის) 37-ე მუხლი <https://matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Gardel v. France*), N16428/05, 17.12.2009, პ. 63 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96457> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მ. პ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „რ. ბ. ესტონეთის წინააღმდეგ“ ყურადღებას კვლავ ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების ფარგლებში არსებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე და უთითებს, რომ ეს ვალდებულებები არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან, არამედ სხვა საერთაშორისო აქტივებიდანაც, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციიდან და ლანსაროტის კონვენციიდანაც, გამომდინარეობს.¹⁰

IV. სქესობრივი დანაშაულისა და მისი რეციდივის თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

სქესობრივი დანაშაულისა და მისი რეციდივის თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა მოიცავს საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და თვითშეგნების ამაღლების ღონისძიებებს, რომლებიც ზოგადი პრევენციისკენ არის მიმართული; დადგენილია აგრეთვე კონკრეტულ საფრთხეზე ორიენტირებული პრევენციის ღონისძიებები, რომლებიც უმეტესად სქესობრივი დანაშაულების ჩამდენ მსჯავრდებულთა მიმართ ხორციელდება.¹¹ ამ მხრივ გავრცელებული პრაქტიკაა სქესობრივი ძალადობის ჩამდენ პირთა რეგისტრაცია;¹² კერძოდ, არსებობს

რეგისტრაციის ორგვარი სისტემა: ერთი მოიცავს მოძალადის რეესტრში შეყვანას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად გარკვეული დროით, ხოლო მეორე მოძალადის რეესტრში შეყვანასთან ერთად გულისხმობს მის საცხოვრებელ ადგილას მცხოვრებ პირთა ინფორმირებასაც. ამგვარი ინფორმირება შეიძლება განხორციელდეს მშობლის მოთხოვნით ან, საერთოდაც შესაძლოა, რეესტრის საინფორმაციო ბაზაზე საზოგადოებას სრულად მიუწვდებოდეს ხელი.¹³

რეესტრის წარმოების მიზანია, სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდეთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოძალადის შესახებ ინფორმაცია¹⁴, აგრეთვე მოძალადის ადგილსამყოფელი ნებისმიერ დროს სწრაფად დადგინდეს.¹⁵ რეესტრის წარმოების მთავარი ამოცანაა დანაშაულის თავიდან აცილება და განსაკუთრებით დანაშაულის რეციდივთან ბრძოლა, ხოლო დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში – დამნაშავის ადვილად იდენტიფიცირება.¹⁶

რეგისტრაციის სისტემა პირველად შემოიღეს აშშ-ში, კალიფორნიის შტატში 1947 წელს. იქ სქესობრივ მოძალადეთა რეესტრის საინფორმაციო ბაზა ღიაა და მასზე ხელი მიუწვდება საზოგადოების ნებისმიერ წევრს. 2004 წლიდან რეგისტრაციის სისტემა ფუნქციონირებს კანადაში, თუმცა იქ რეესტრის საინფორმაციო ბაზა საზოგადოების-

გუაგუ-ენ (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹³ იხ. *Overview of the Worldwide Best Practices for Rape Prevention and for Assisting Women Victims of Rape*, European Parliament's Directorate-General for Internal Policies, 2013, გვ. 100 <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f1043bbb-20ef-45ed-b902-3971471a9dc1/language-en> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁴ იხ. *Overview of the Worldwide Best Practices for Rape Prevention and for Assisting Women Victims of Rape*, European Parliament's Directorate-General for Internal Policies, 2013, გვ. 101 <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f1043bbb-20ef-45ed-b902-3971471a9dc1/language-en> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Gardel v. France*), N16428/05, 17.12.2009, პ. 17 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96457> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Gardel v. France*), N16428/05, 17.12.2009, პ. 19 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96457> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

მდეგ“ (*M. P. and others v. Bulgaria*), N22457/08, 15.11.2011, პ. 108 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-107448> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „რ. ბ. ესტონეთის წინააღმდეგ“ (*R. B. v. Estonia*), N22597/16, 22.06.2021, პ. 83-84 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-210466> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹¹ იხ. *Overview of the Worldwide Best Practices for Rape Prevention and for Assisting Women Victims of Rape*, European Parliament's Directorate-General for Internal Policies, 2013 <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f1043bbb-20ef-45ed-b902-3971471a9dc1/language-en> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹² იხ. *Overview of the Worldwide Best Practices for Rape Prevention and for Assisting Women Victims of Rape*, European Parliament's Directorate-General for Internal Policies, 2013, გვ. 87 <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f1043bbb-20ef-45ed-b902-3971471a9dc1/language-en>

თვის დახურულია. სქესობრივ მოძალადეთა რეესტრი არსებობს ავსტრალიაში, ინგლისში, უელსში, საფრანგეთში, სამხრეთ კორეაში. ევროპაში სქესობრივ მოძალადეთა რეესტრის საინფორმაციო ბაზაზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებს.¹⁷

დამკვიდრებული პრაქტიკაა რეესტრში რეგისტრირებული მსჯავრდებულისთვის ცალკეული სამოქალაქო უფლებების დროებით შეზღუდვა. მათ შორის არის გარკვეულ ადგილას სამუშაოდ დამსაჯების, სკოლის ტერიტორიასთან 300 მეტრიდან 700 მეტრამდე მანძილზე მიახლოების,¹⁸ სკვერთან, პარკსა და ბავშვთა თავშეყრის ადგილთან მიახლოების აკრძალვა, მართვის უფლების ჩამორთმევა, მონიტორინგის სხვა ღონისძიებების დანესება.¹⁹

V. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერების მიზნით, 2020 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.²⁰ მას მოჰყვა სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.²¹

¹⁷ იხ. *Overview of the Worldwide Best Practices for Rape Prevention and for Assisting Women Victims of Rape*, European Parliament’s Directorate-General for Internal Policies, 2013, გვ. 101 <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f1043bbb-20ef-45ed-b902-3971471a9dc1/language-en> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁸ იხ. *Adult Sex Offender Management*, U.S. Department of Justice, 2015 <https://www.ojp.gov/library/publications/adult-sex-offender-management> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

¹⁹ იხ. *Bonnar-Kidd, Kelly, Sexual Offender Laws and Prevention of Sexual Violence or Recidivism*, 2010 <https://ajph.aphapublications.org/doi/full/10.2105/AJPH.2008.153254> (ბოლოს ნანახია 27.07.2021).

²⁰ იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792146?publication=2> (ბოლოს ნანახია 27.07.2021).

²¹ იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის N9 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოების მიერ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მოიცავს ბევრ სიახლეს, მათ შორის:

- კანონის მიღების შედეგად შეიქმნა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრი, რომელშიც შეტანილია მსჯავრდებულ პირთა პერსონალური მონაცემები. ამასთანავე, რეესტრი დახურულია და დაცულია მონაცემთა კონფიდენციალობა.
- სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოართვას ერთი ან რამდენიმე უფლება, მაგალითად, საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის უფლება, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დანესებულებაში და მის მახლობლად 30 მეტრის რადიუსში ყოფნის უფლება, არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება, მგზავრის გადაყვანის უფლება და სხვა.
- განისაზღვრა უფლების ჩამორთმევის მინიმალური და მაქსიმალური ვადები (კერძოდ, 5 წლიდან 15 წლამდე ვადა) დანაშაულის კატეგორიების შესაბამისად. ამასთანავე, შესაძლებელია ჩამორთმეული უფლების ვადაზე ადრე აღდგენა.
- სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებას ერთვის მონიტორინგის ღონისძიებები; კერძოდ, მსჯავრდებული ვალდებულია პოლიციის მიერ დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ტერიტორიულ ორგანოში. მსჯავრდებულისა და უფლებამოსილი პირის პოლიციაში დაბარება უნდა მოხდეს წელიწადში ორჯერ, სამჯერ ან ოთხჯერ. პოლიცია აღრიცხავს მსჯავრდებულის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს, სამუშაო ადგილს, მასთან ერთად მცხოვრებ პირთა შესახებ მონაცემებსა და სხვა ინფორმაციას.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოიყო შემთხვე-

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5107276?publication=0> (ბოლოს ნანახია 27.07.2021).

ვის მმართველები. მათ ევალებათ სქესობრივი დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებულთა და უფლებამართებულ პირთა საქმეების წარმოებისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფა.

ამასთანავე, ცვლილებები შევიდა არაერთ სპეციალურ კანონში. ამ ცვლილებების შედეგად იკრძალება სქესობრივი დანაშაულების ჩადენისთვის ნასამართლევ პირების ისეთ დაწესებულებებში დასაქმება, სადაც არასრულწლოვანებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არსებობს. სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სრულად შეესაბამება საერთაშორისოსამართლებრივ აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია სამართლიანი ბალანსი სქესობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესსა და მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების დაცვას შორის. უფლების ჩამორთმევისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხანგრძლივობა 15 წელს არ აღემატება, ამასთანავე, პირს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ჩამორთმეული უფლების ვადაზე ადრე აღდგენა. რეესტრში შეტანილი პირთა მონაცემები კონფიდენციალურია.

სქესობრივი დანაშაულების ჩამდენი პირები ვინაიდან სპეციფიკურ კატეგორიას განეკუთვნებიან და მათგან დანაშაულის რეციდივის საფრთხე მომდინარეობს, უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების კუთხით წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ყოველივე ეს პირველი მცდელობაა, რომ სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, სასჯელის გარდა, დანაშაულის თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებებიც იყოს დანერგილი საქართველოს კანონმდებლობაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშე-

უხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონი ახლახან მიღებულია და, ამდენად, მისი შედეგების გაზომვა და შეფასება ჯერჯერობით რთულია. მოსალოდნელია, რომ ეს კანონი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის შედეგების გაუმჯობესებაში.

VI. საქმე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“

ყურადღებას იმსახურებს და სამსჯელო საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა მსჯავრდებულის პირად ცხოვრებაში არათანაზომიერი ჩარევა და მისი უფლების არაპროპორციული შეზღუდვა, როდესაც სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის შეფარდებასთან ერთად მის მიმართ რეესტრში შეყვანას, მონიტორინგის ღონისძიებებსა და ცხოვრებისა და საქმიანობის უწყვეტ კონტროლს ახორციელებენ. ამ საკითხთან მიმართებით საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“.²²

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, გარდელი გასამართლდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანის გაუპატიურების გამო. 2003 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გარდელს თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და ათი წლით ყოველგვარი სამოქალაქო, საზოგადოებრივი და საოჯახო უფლება ჩამოართვა. გასათვალისწინებელია, რომ იგი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანზე სქესობრივი ძალადობისთვის ადრეც იყო მსჯავრდებული.

2004 წელს საფრანგეთში შეიქმნა სქესობრივ ძალადობაში მსჯავრდებულ პირთა ეროვნული რეესტრი. გარდელი სქესობრივ მოძალადეთა რეესტრში შეიყვანეს 2004 წლის კანონის ძალაში შესვლის შედეგად, კანონის უკუძალის გამოყენებით.

²² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გარდელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Gardel v. France*), N16428/05, 17.12.2009 <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96457> (ბოლოს ნანახია: 27.07.2021).

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოცემულ საქმეზე უნდა დაედგინა, პირის სქესობრივ მოძალადეთა რეესტრში შეყვანა მიიჩნევა თუ არა „სასჯელად“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, ამასთანავე, წარსულში ჩადენილი დანაშაული გამო პირის რეესტრში შეყვანით დაირღვა თუ არა სასჯელის უკუძალის აკრძალვის პრინციპი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის რეესტრში შეყვანა უმთავრესად ემსახურებოდა დანაშაულის რეციდივის პრევენციას; პირის რეესტრში შეყვანის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას პრევენციული და შემაკავებელი მიზანი ჰქონდა და, შესაბამისად, ეს არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო როგორც სადამსჯელო ღონისძიება ან როგორც სანქცია ან სასჯელი. სასამართლომ რეესტრის პრევენციული ხასიათის გათვალისწინებით დასამუშავებლად მიიჩნია კანონის უკუძალით მოქმედება.

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებშიც, პირადი ცხოვრების დაცვის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, პირადი მონაცემების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების განხორციელებისათვის; ქვეყნის კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს ადეკვატურ გარანტიებს შენახული პირადი მონაცემების არასწორად ან ბოროტად გამოყენებისგან ეფექტიანად დასაცავად. ამავე დროს, სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა, რომ რეესტრის პრევენციულ ხასიათში ეჭვს ვერ შეიტანდა და აღნიშნა, რომ სქესობრივი ძალადობა უდავოდ საზარელი დანაშაულია, რომელსაც მსხვერპლისთვის გამანადგურებელი შედეგი მოაქვს; ბავშვებსა და სხვა დაუცველ პირებს უფლება აქვთ, დაიცვას ისინი სახელმწიფომ და ეფექტიანად აღიკვეთოს მათი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში ასეთი უხეში ჩარევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა აგრეთვე ყველა იმ გარანტიაზე, რომლითაც, საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, რეესტრში შეყვანილი პირი სარგებლობდა. ქვეყნის კანონმდებლობა იძლეოდა მსგავსი ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არსებობის გასაჩივრების შესაძლებლობას; ამავდროულად, სასამართლოს, პოლიციის და სხვა სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი გამოყენება იყო შეზღუდუ-

ლი და კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის რეესტრში შეყვანა, არსებული გარანტიების გათვალისწინებით, განეკუთვნებოდა აუცილებელ შეზღუდვას დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ დარღვეულა სამართლიანი ბალანსი პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ამრიგად, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

VII. დასკვნა

სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. ადამიანის უფლებათა დაცვა სახელმწიფოსგან მოითხოვს წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გატარებას.

სათანადო ღონისძიებების გატარება მოიცავს, მათ შორის, კერძო პირთა ცხოვრებაში ჩარევას. ასეთი ჩარევა კი სახელმწიფოს მხრიდან არათანაზომიერ, გაუმართლებელ ჩარევას არ განეკუთვნება, თუ კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ძალის ბოროტად გამოყენებისგან დაცვის მექანიზმები. ჯეროვანი გარანტიების არსებობის პირობებში თითოეული პროაქტიული ნაბიჯი, რომელიც სქესობრივი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებისკენ არის მიმართული, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვისკენ გადადგმული ნაბიჯია.

სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით აღსანიშნავია 2020 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. მათი მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობამ შეიძინა სქესობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობა, ყურადღება გამახვილდა სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის კომპლექსურობაზე და სასჯელის გამოყენების ღონისძიებასთან ერთად მეტი ყურადღება დაეთმო პრევენციულ ღონისძიებებს.

საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ჭრილში: საქმე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (N9043/05)

ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე/დოქტორანტი **ბაჩანა სურმაგა**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

I. შესავალი

2005 წლის 9 მარტს საქართველოს მოქალაქეებმა ა.ნ.-მ და რ.ტ.-მ წარუდგინეს განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს¹ საქართველოს წინააღმდეგ. დავის მთავარი საგანი იყო საპროცესო შეთანხმების გამოყენება პირველი განმცხადებლის, ა.ნ.-ის, მიმართ. იგი ამტკიცებდა, რომ საპროცესო შეთანხმების პროცედურა მის მიმართ ბოროტად იქნა გამოყენებული, რის შედეგადაც დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის² მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.³ ამიტომ სტრასბურგის სასამართლომ პირველად გაანალიზა საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი თავისი გადაწყვეტილების გამოსატანად.

სტრასბურგის სასამართლო ამ საქმეზე მის მიერ 2014 წლის 29 აპრილს გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებას იწყებს შემდეგნაირად: ბრალის აღიარების ან *nolo contendere* შეთანხმების ან საგამოძიებო ორგანოებთან არსებითი თანამშრომლობის საფუძველზე ბრალდების შემსუბუქება

ან უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება ევროპული სისხლის სამართალწარმოების სისტემებისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. ბრალდებასთან ან სასჯელთან დაკავშირებით შეთანხმება თავისი არსით არ ეწინააღმდეგება კონვენციას.⁴

ამ სტატიის მიზანია სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების ძირითადი ასპექტების გაანალიზება და ამ გადაწყვეტილების მიხედვით საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის მიმოხილვა.

II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები⁵

2004 წლის 12 მარტს ა. ნ.-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ბრალდებულის შეთავაზების საფუძველზე საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და ა.ნ.-ს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენას, თუმცა თანხმობას აცხადებდა, როგორც პროკურატურის მიერ

¹ შემდგომ შემოკლებულია როგორც სტრასბურგის სასამართლო.

² შემდგომ შემოკლებულია როგორც კონვენცია.

³ აღნიშნულ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, პირველი და მე-3 პარაგრაფები, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22tognidze%22%2C%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22:%5B%22001-142672%22%5D%7D> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

⁴ ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 90-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22tognidze%22%2C%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22:%5B%22001-142672%22%5D%7D> (ბოლოს ნანახია 15.08.2021); აგრეთვე Grabenwarter, Christoph/Pabel, Katharina, Europäische Menschenrechtskonvention, 7. Aufl., 2021, S. 596.

⁵ საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოკლედ არის წარმოდგენილი, კერძოდ, გამოკვეთილია ძირითადი პრობლემეტიკა.

სასამართლოსთვის შეთავაზებული სასჯელის სახისა და ზომის შეფარდებაზე, ისე ბრალდების ფორმულირებაში მითითებული სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზიანის სრულად ანაზღაურებაზე. სასამართლომ ამ პირობებით განიხილა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობა. ბრალდებული, საპროცესო შეთანხმების პირობების გარდა, ხელმოწერით ადასტურებდა, რომ მის მიმართ ზენოლა არ განხორციელებულა, რაც დაადასტურა ასევე სასამართლოს წინაშე. ამასთანავე, მოსამართლემ ბრალდებულს გააცნო თავისი საპროცესო უფლებები. ბრალდებულმა მოსამართლის წინაშე დაადასტურა, რომ ის სრულად იცნობდა მის საპროცესო უფლებებს და ეთანხმებოდა საპროცესო შეთანხმების პირობებს. საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს და სასამართლოს სხდომაში მონაწილეობდა ბრალდებულის ადვოკატიც. შედეგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი იყო საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების დასადასტურებლად და პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. განაჩენის საფუძველზე ბრალდებულს მსუბუქი სასჯელი – ჯარიმა – შეეფარდა და სასამართლო დარბაზიდანვე გათავისუფლდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას და შევიდა კანონიერ ძალაში. თუმცა ახლად გამოვლენილი გარემოებების შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმებაზე შუამდგომლობის წარდგენა და საქმის განხილვა მაინც იყო შესაძლებელი.⁶ შესაბამისად, ა.ნ.-მ მიმართა სტრასბურგის სასამართლოს.

⁶ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დანვრილებით იხ. *ნაცვლიშვილი და ტოვონიძე საქართველოს წინააღმდეგ*, მე-12-34-ე პარაგრაფები, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22togonidze%22%2C%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%2C%22itemid%22:%5B%22001-142672%22%5D%7D>, (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

III. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი: სტრასბურგის სასამართლოს 2014 წლის N9043/05 გადაწყვეტილებამდე არსებული პრობლემატიკა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები

1. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის განვითარება საქართველოში

სასამართლოს მიერ განაჩენის კანონისმიერ გამოტანა სამართალწარმოების მკაცრი ფორმების დაცვის გარეშე – არსებითი განხილვის გარეშე – პირველად შესაძლებელი გახდა 2004 წლის 13 თებერვალს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში⁷ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით⁸, როდესაც სსსკ-ში შეტანილ იქნა გარიგებითი მართლმსაჯულება⁹ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ფორმით. კერძოდ, ერთი მხრივ, სსსკ-ის ზოგად ნაწილში სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს 15¹ მუხლით დაემატა დამოუკიდებელი პრინციპი – საპროცესო შეთანხმება¹⁰, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო ნაწილში

⁷ შემდგომ შემოკლებულია როგორც სსსკ.

⁸ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 იანვრის N33/1 საკანონმდებლო ინიციატივა, რა დროსაც მოთხოვნილ იქნა კანონპროექტების რიგგარეშე განხილვა. შედეგად, ცვლილებები დაჩქარებულად იქნა მიღებული 2004 წლის 13 თებერვალს, <https://parliament.ge/legislation/2177> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

⁹ ტერმინი „გარიგებითი მართლმსაჯულება“ თავდაპირველად გამოყენებულ იქნა ამ ინსტიტუტის შემოსაღებად განკუთვნილ კანონპროექტსა (15¹ მუხლში) და მის გამარტებით ბარათში, თუმცა, საბოლოოდ, კანონის ტექსტში კანონმდებელმა 15¹ მუხლში მის ნაცვლად გამოიყენა ტერმინი საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული 15¹ მუხლის მიხედვით, „საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. საპროცესო შეთანხმების მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.“ აგრეთვე *აქუბარდია, ირინა*, ნიგნში: *ფაფიაშვილი, ლალიივანიძე, მაიააქუბარდია, ირინა/თუმანიშვილი, გიორგიმეურმიშვილი, ბესიკ/გოგინიაშვილი, ნინო*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017, გვ. 545.

¹⁰ საპროცესო შეთანხმების სსსკ-ის 151 მუხლში სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი პრინციპის სახით მონესრიგებას კრიტიკულად მართებულად აფასებდა ჯერ კიდევ 2006 წელს *რატიანი, ციალა*, მართლმსაჯულება და კანონი 3 (10) 2006, 116, 128 და მომდევნო გვერდები.

ცალკე LXIV¹ თავად ჩამოყალიბდა საპროცესო შეთანხმების მომწესრიგებელი ნორმები (679¹–679⁵ მუხლები). აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განმარტებითი ბარათის თანახმად, გარიგებითი მართლმსაჯულების პრინციპის შემოღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც შესაბამისი ბრალდებულებისთვის „გარკვეულწილად გამარტივებულ სისხლის სამართალწარმოებას“ ითვალისწინებს.¹¹ ამ ინსტიტუტმა კანონით მოწესრიგებიდან 4 თვეში განიცადა ცვლილება, ვინაიდან 2004 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით შესაძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დადება იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, თუმცა თანახმაა სასჯელზე.¹² შედეგად, აღნიშნული ცვლილებებით

¹¹ იხ. აღნიშნული კანონპროექტის (28.01.04, 07-2/827კ.) განმარტებითი ბარათი, გვ. 4. საპროცესო შეთანხმებას გამარტივებულ სამართალწარმოებად მიიჩნევს ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დოლიძე, ვერა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3 2017, 45, 46; ამასთანავე ავტორი უთითებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის გაცემულ რეკომენდაციაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ, 45 და მომდევნო გვერდი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის შეფასებით, საქართველოში 2004 წელს შემოღებული საპროცესო შეთანხმება „უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებასა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის ფაქტზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას“, იხ. გვენეტაძე, ნინო, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 213.

¹² იხ. საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი ბოკერიას მიერ 2004 წლის 1 ივნისის N07-6/27 საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2004 წლის 24 ივნისს. აღნიშნული ინიციატივის განმარტებით ბარათში, ცვლილების დასაბუთებაში მითითებულია, რომ მოქმედი სამართლებრივი ნორმებით ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის საპროცესო შეთანხმება და საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, თუმცა კანონით მოწესრიგების მიღმა დარჩა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ თანახმაა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე იმ პირობით, რომ პროკურორი შეამციროს ან საერთოდ უარს იტყვის სასჯელის გამოყენების მოთხოვნაზე. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საქართველოს სსსკ-ში შემოღებისა და მისი განვითარების მოკლე მიმოხილვის, ასევე საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის შედარებითი ანალიზის შესახებ დოლიძე, ვერა, სისხლის

საპროცესო შეთანხმების დადებისთვის სსსკ-ის 679¹ მუხლით განისაზღვრა ორი საფუძველი: შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე.¹³ ამ ცვლილებებიდან 10 წლის შემდეგ კი (2014 წელს) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტორებითა და საქართველოს მთავრობის ინიციატორებით განხორციელდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გააზრებული საკანონმდებლო რეფორმირება, რომელიც იყო რეაგირება, ერთი მხრივ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ კრიტიკულ პოზიციებზე და, მეორე მხრივ, სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოვლენილ ხარვეზებზე¹⁴. რეფორმა ემსახურებოდა ამ ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობას.¹⁵

სამართლის აქტუალური საკითხები N3 2017, 45, 47 და მომდევნო გვერდები.

¹³ აღსანიშნავია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების თავში არსებული 679⁹ მუხლი (დღეს მოქმედი სსსკ-ის 218-ე მუხლი) ითვალისწინებდა განსაკუთრებული თანამშრომლობისა და შესაბამისი პირობების შესრულების შემთხვევაში ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესაძლებლობას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული ნორმა შეფასდა როგორც საპროცესო შეთანხმების არსებული შემთხვევებისგან განსხვავებული მოდელი, როდესაც ადგილი აქვს ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის სპეციალურ საპროცესო ურთიერთობას, იხ. გვენეტაძე, ნინო, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 213, 225; მსგავს შეფასებასთან დაკავშირებით დოლიძე, ვერა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3 2017, 45, 49.

¹⁴ საპროცესო შეთანხმების 2014 წლამდე არსებული საკანონმდებლო ნორმები და მათი პრაქტიკაში გამოყენება არაერთხელ გამხდარა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მწვავე კრიტიკის საგანი. აღნიშნულ და სხვა კრიტიკულ შეფასებასთან დაკავშირებით, მაგალითად ციმაკურიძე, ეკატერინე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული ანალიზის დოკუმენტი, გვ. 6, 73 და მომდევნო გვერდი, https://idfi.ge/public/upload/Magda/presentation_on_the_Analysis_of_Legislation_and%20Practice_of_Plea_Bargain/Plea%20Bargain_GEO.PDF (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

¹⁵ 2014 წლის 24 ივლისის მიღებული საკანონმდებლო ცვლილების განმარტებით ბარათში საკანონმდებლო ცვლილების მიზეზად დასახელებულია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები; კანონპროექტის მიზნად კი მითითებულია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევა სამართლიანი სასამართლოს გარანტიების სრული დაცვით, კერძოდ ის, რომ აუცილებელია დამატებით გარანტიების დამკვიდრება უდანაშაულო პირის

კერძოდ, აღნიშნული მართებული ცვლილებებით: სასჯელზე შეთანხმება, როგორც საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი, გაუქმდა; დაზარალებულის უფლებები გაფართოვდა შეთანხმების დადებისა და დამტკიცების პროცესში; შემოღებულ იქნა საპროცესო შეთანხმების ოქმი; შემოღებულ იქნა საპროცესო შეთანხმების დადებისთვის საჭირო შესაბამისი დამოუკიდებელი მტკიცებულებითი სტანდარტი – მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად, და განხორციელდა სხვა თანმდევი ცვლილებები.¹⁶

2. საპროცესო შეთანხმების პრობლემატიკა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა მისი დანერგვიდან დღემდე არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განიცადა. ამასთანავე, პარალელურად, ეს ინსტიტუტი ქართველი იურისტებისთვის ინტენსიური კვლევის საგანია.¹⁷ ქართულ იურიდიულ

მსჯავრდების შესაძლებლობის მინიმუმამდე შემცირების უზრუნველსაყოფად; აღნიშნული განმარტებითი ბარათი ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/1385> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

¹⁶ დაწვრილებით იხ. 2014 წლის 24 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებები და მათი განმარტებითი ბარათი, <https://parliament.ge/legislation/1385> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

¹⁷ მაგალითად: *აქუბარდია, ირინა*, წიგნი: *ფაფიაშვილი, ლალიივანიძე, მაია/აქუბარდია, ირინა/თუმანიშვილი, გიორგი/მეურმიშვილი, ბესიკ/გოგინიაშვილი, ნინო*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017, გვ. 542 და მომდევნო გვერდები; *ცქიტიშვილი, თემურ*, სასჯელი და მისი შეფარდება, 2019, გვ. 247 და მომდევნო გვერდები; *ცქიტიშვილი, თემურ*, წიგნი: *ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე*, 2019, გვ. 48 და მომდევნო გვერდები; *ლალიაშვილი, თამარ*, წიგნი: *ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე*, 2019, გვ. 363 და მომდევნო გვერდები; *ცქიტიშვილი, თემურ*, წიგნი: *სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში*, 2016, გვ. 650 და მომდევნო გვერდები; *გვენეტაძე, ნინო*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში*, 2013, გვ. 213 და მომდევნო გვერდები; *ლალიაშვილი, თამარ*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში*, 2013, გვ. 213 და მომდევნო გვერდები; *ლალიაშვილი, თამარ*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნი-*

ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი (ხშირ შემთხვევაში მართებული) კრიტიკული პოზიცია, როგორც საპროცესო შეთანხმების 2014 წლამდე (მის შეცვლამდე) არსებულ მოდელთან დაკავშირებით, ისე, ზოგადად, მასთან მიმართებით.¹⁸ კერძოდ, მაგალითად, მითითებულია მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვაზე; აღნიშნულია, რომ მართალია არსებობს ნორმა, რომელიც მოსამართლეს პროკურატურის შუამდგომლობაში მოთხოვნილი სასჯელის სამართლიანობის და კანონიერების შემოწმებას ავალდებულებს, მაგრამ რადგან მოსამართლე ვერ ერევა საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლაში და მხოლოდ პირობების შეცვლის შეთავაზება შეუძლია მხარეებისთვის (რაც შემდგომ ზემდგომ პროკურორთან შეთანხმების შედეგად წყდება) რჩება ფორმალურ ჩანაწერად.¹⁹ პრობლემატურ საკითხად სახელდებოდა ასევე ის, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დაწვრილებით შეამოწმოს, თუ რამდენად ნებაყოფლობითია ბრალდებულის უარი საქმის არსებითად განხილვაზე.²⁰ აღნიშნულია

ერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 275 და მომდევნო გვერდები; *დოლიძე, ვერა*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3 2017, 45 და მომდევნო გვერდები; *რატიანი, ციალა*, მართლმსაჯულება და კანონი 3 (10) 2006, 116, 128 და მომდევნო გვერდები.

¹⁸ *რატიანი, ციალა*, მართლმსაჯულება და კანონი 3 (10) 2006, 116 და მომდევნო გვერდი, განსაკუთრებით 127 და მომდევნო გვერდები; საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის 2004-2013 წლების საკანონმდებლო ცვლილებების და ამ პერიოდის განმავლობაში მისი განსხვავებული მოწესრიგების ანალიზის შესახებ დაწვრილებით *გვენეტაძე, ნინო*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში*, 2013, გვ. 213 და მომდევნო გვერდები, საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის კრიტიკასა და საკანონმდებლო შემოთავაზებებთან დაკავშირებით გვ. 221, 228, 230 და მომდევნო გვერდები; *ლალიაშვილი, თამარ*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში*, 2013, გვ. 275 და მომდევნო გვერდები, ავტორი კრიტიკულად აანალიზებს საპროცესო შეთანხმების ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას და მას „მახინჯ პროცედურას“ უწოდებს, გვ. 276 და მომდევნო გვერდი; *ბენიძე, ვენედი*, ცხოვრება და კანონი N2 (4) 2008, 2, 5.

¹⁹ *გვენეტაძე, ნინო*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში*, 2013, გვ. 231 და მომდევნო გვერდი.

²⁰ *გვენეტაძე, ნინო*, სიმპოზიუმის კრებულში: *სისხლის*

ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებას ხშირად ბრალდებულის უსამართლო მსჯავრდებისა და მკაცრი სასჯელის შიში განაპირობებდა.²¹ თუ ბრალდებული უარს იტყოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, „პროკურატურის მარნუხებს ქვეშ მოქცეული სასამართლო ასეთ პირებს [...] კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის თითქმის მაქსიმუმს უფარდებდა თავისუფლების აღკვეთის სახით.“²² ამიტომ საპროცესო შეთანხმებას მოიხსენიებდნენ როგორც თავისუფლების ყიდვის ინსტიტუტს, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს ხდებოდა სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებისთვისაც სასჯელის სახედ საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ჯარიმა.²³

ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მსჯელობის საგანი გახდა იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც დაზარალებულს არ აძლევდა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლებას. სასამართლომ თავისი 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით უფლების ასეთი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან (ძველი რედაქცია) შესაბამისად მიიჩნია.²⁴

საპროცესო შეთანხმების იმდროინდელი მოდელის პრობლემატურობა მისი დანერგვიდან მალე ევროპის საბჭოს ფარგლებშიც გახდა კრიტიკის

სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 232.

²¹ გვენეტაძე, ნინო, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 232; ლალიაშვილი, თამარ, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 280.

²² ლალიაშვილი, თამარ, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 279 და მომდევნო გვერდი.

²³ ლალიაშვილი, თამარ, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 279.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403, 427 გადაწყვეტილება საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კორაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-12, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=362> (ბოლოს ნანახია 15.08.2021). ამ გადაწყვეტილებას კრიტიკულად აფასებს ცქიტიშვილი, თემურ, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 656 და მომდევნო გვერდი.

საგანი. კერძოდ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა 2005 წელს მიღებული N1415 რეზოლუციით საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა კრიტიკულად გადაეხინჯა საპროცესო შეთანხმების არსებული პრაქტიკა, ვინაიდან ის, არსებული სამართლებრივი პროცედურებით, ერთი მხრივ, სავარაუდო დამნაშავეებს აძლევდა შესაძლებლობას, ჩადენილი დანაშაულების სანაცვლოდ ეყიდათ თავისუფლება, მეორე მხრივ კი, შეიცავდა მისი თვითნებური, არაკეთილსინდისიერი და საერთოდ, პოლიტიკური მოტივებით გამოყენების საფრთხეს.²⁵

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ საპროცესო შეთანხმების 2004-2012 წლებში არსებული მოდელი ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ პრინციპებს, როგორებიც არის, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფცია და თვითინკრიმინაციისგან დაცვა.²⁶

²⁵ იხ. რეზოლუციის მე-9 პუნქტის შესაბამისი ა) ქვეპუნქტი, <https://pace.coe.int/pdf/a9094afe8905f27b5634abb2557bb6b2bd644bb309b243f4029e85fca535c3/resolution%201415.pdf> (ბოლოს ნანახია 15.08.2021). ასევე აღსანიშნავია „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის პოზიცია, რომელმაც ამ გადაწყვეტილებას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი დაურთო; მან გაიზიარა საპროცესო შეთანხმების ქართულ მოდელსა და მის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით საჯაროდ გამოთქმული კრიტიკული პოზიციები და, ამასთანავე, მიუთითა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2006 წლის 24 იანვრის მონოდებაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას კრიტიკულად უნდა გადაეხინჯა საპროცესო შეთანხმების არსებული მოდელი და პრაქტიკა, რაც გათვალისწინებული იყო ამავე ორგანიზაციის 2005 წლის N1415 რეზოლუციით, იხ. პირველი პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fuitext%22:%5B%22togonidze%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-142672%22%5D%7D>, (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

²⁶ ლალიაშვილი, თამარ, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 275 და მომდევნო გვერდი; ავტორი დღესაც მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებს, იხ. ლალიაშვილი, თამარ, წიგნში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, 2019, გვ. 363 და მომდევნო გვერდები; საპროცესო შეთანხმების სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან წინააღმდეგობაზე ასევე რატიანი, ციალა, მართლმსაჯულება და კანონი 3 (10) 2006, 130 და მომდევნო გვერდები.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა ავტორმა განავითარა პოზიცია, რომ საპროცესო შეთანხმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.²⁷

IV. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი ასპექტები

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განხილული მოსაზრებების გათვალისწინებით, საინტერესოა სტრასბურგის სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში განვითარებული შემდეგი ძირითადი პოზიციები:

ბრალის აღიარების ან *nolo contendere* შეთანხმების ან საგამოძიებო ორგანოებთან არსებითი თანამშრომლობის საფუძველზე ბრალდების შემსუბუქება ან უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება ევროპული სისხლის სამართალწარმოების სისტემებისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტია. ბრალდებასთან ან სასჯელთან დაკავშირებით შეთანხმება თავისი არსით არ ეწინააღმდეგება კონვენციას. საპროცესო შეთანხმება, გარდა იმისა, რომ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლოს, პროკურორებისა და ადვოკატების მომეტებული სამუშაოს განტვირთვის კარგი მექანიზმია, ის კორუფციასთან და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაც არის; ამასთანავე, მის საფუძველზე შესაძლებელია შემცირდეს სასჯელის ზომა და, შეაბამისად, პატიმართა რაოდენობა.²⁸

²⁷ ლალიაშვილი, თამარ, სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, 2013, გვ. 275; ავტორი დღესდღეობითაც სამსჯელოდ ხდის აღნიშნულ საკითხს, იხ. ლალიაშვილი, თამარ, წიგნში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, 2019, გვ. 370 და მომდევნო გვერდი.

²⁸ იხ. ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 90-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%5D%2C%22documentcollectionid%22%3A%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22itemid%22%3A%5B%22001-142672%22%5D%7D>, (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, საპროცესო შეთანხმების დადების დროს ვინაიდან სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა შეკვეცილი პროცედურით ხორციელდება, საპროცესო შეთანხმების დადება თავისთავად გარკვეულ საპროცესო უფლებებზე უარის თქმას გულისხმობს. თავის მხრივ, საპროცესო უფლებებზე საკუთარი ნებით უარის თქმა არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის სულისკვეთებას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე 1987 წლის 17 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მონოდებაზე, რომ წევრ სახელმწიფოებს სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურები გაემარტივებინათ.²⁹ თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ საპროცესო უფლებებზე უარი ნათლად და არაორაზროვნად უნდა გამოიხატოს და, ამავე დროს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური საპროცესო გარანტიები. ამასთანავე, საპროცესო უფლებებზე უარის თქმა რომელიმე საჯარო ინტერესს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.³⁰

აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასახელა პირობები, თუ რა შემთხვევებში არის გამართლებული საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველზე საპროცესო უფლებებზე უარის თქმა: ა) ბრალდებულმა სრულად იცის სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სრულად აცნობიერებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს და საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე თანხმობას ნებაყოფლობით გამოთქვამს; ბ) საპროცესო შეთანხმების შინაარსი და მისი დადების ფორმა სათანადო სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.³¹

²⁹ იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის (R (87) 18) რეკომენდაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ, <https://rm.coe.int/16804e19f8> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

³⁰ იხ. ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 91-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%5D%2C%22documentcollectionid%22%3A%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22itemid%22%3A%5B%22001-142672%22%5D%7D>, (ბოლოს ნანახია 11.08.2021).

³¹ იხ. ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 92-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%5D%2C%22documentcollectionid%22%3A%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22itemid%22%3A%5B%22001-142672%22%5D%7D>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა შემდეგი: ა) საპროცესო შეთანხმების დადება პროკურატურას განმცხადებელმა თავად შესთავაზა; ამასთანავე, მან ნათლად გამოხატა სურვილი სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი აენაზღაურებინა; ბ) განმცხადებელს სრული წვდომა ჰქონდა სისხლის სამართლის მასალებზე; გ) განმცხადებელს იურიდიულ დახმარებას მის მიერ არჩეული ორი ადვოკატი უწევდა (ერთი მათგანი კი – პირველივე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მომენტიდან); დ) განმცხადებელს ადვოკატები იურიდიულ დახმარებას საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების დროსაც უწევდნენ (ერთი მათგანი კი – შუამდგომლობის სასამართლოში განხილვის დროსაც); ე) შუამდგომლობის სასამართლოში განხილვის დროს მოსამართლემ გამოიკვლია, საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების დროს განმცხადებელზე განხორციელდა თუ არა ზენოლა; ვ) განმცხადებელმა სასამართლოს წინაშე ნათლად დაადასტურა, რომ სრულად ესმოდა საპროცესო შეთანხმების შინაარსი, იცნობდა მის საპროცესო უფლებებს და სრულად აცნობიერებდა სამართლებრივ შედეგს. განმცხადებელმა ასევე დაადასტურა, რომ მასზე არ განხორციელებულა ზენოლა და საპროცესო შეთანხმების დადება ყალბი დაპირების შედეგად არ მომხდარა; ზ) საპროცესო შეთანხმება წერილობით იყო დადებული და ხელმოწერილი პროკურორის, განმცხადებლისა და მისი ადვოკატის მიერ. აღნიშნული შეთანხმება სასამართლოს წარედგინა და სასამართლოსთვის სრულად იყო ცნობილი საპროცესო შეთანხმების პირობები. სასამართლოსთვის ასევე სრულად იყო ცნობილი ინფორმაცია იმ მოლაპარაკებების შესახებ, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადებას უძლოდა წინ; თ) სასამართლო არ იყო შეზღუდული საპროცესო შეთანხმების პირობებით. მას ჰქონდა უფლებამოსილება, საკუთარი შეფასების საფუძველზე არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება მისი პირობებისა და პროცესის უსამართლობის მოტივით. სასამართლოს შეეძლო არა მხოლოდ არ დათანხმებოდა პროკურატურის შეთავაზებას სასჯელთან დაკავშირებით, არამედ სასჯელის ზომაც

],%22itemid%22:[%22001-142672%22]], (ბოლოს ნანახია 11.08.2021).

შეემციერებინა; ი) ეფექტიანი სასამართლო განხილვის მიზნით, სასამართლომ ასევე გამოიკვლია, განმცხადებლის მიმართ წაყენებული ბრალდება რამდენად იყო სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული; კ) სასამართლომ წარდგენილი შუამდგომლობა საჯარო სხდომაზე განიხილა, რამაც სასამართლო განხილვას დამატებითი ეფექტიანობა შესძინა.³²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ არ შეიძლებოდა თქმულიყო, საპროცესო შეთანხმების დადება პროკურატურის მიერ ზენოლის ან ყალბი დაპირების საფუძველზე განხორციელდა. მთელი პროცესი საკმარისი საპროცესო გარანტიებით იყო უზრუნველყოფილი, რათა აღნიშნული პროცესით ბოროტად სარგებლობა არ მომხდარიყო. საპროცესო უფლებებზე უარის თქმა არც რომელიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგებოდა; შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა.³³

³² იხ. ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 93-ე-95-ე პარაგრაფი, [https://hudoc.echr.coe.int/en-g#%22fulltext%22:\[%22togonidze%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-142672%22\]\]](https://hudoc.echr.coe.int/en-g#%22fulltext%22:[%22togonidze%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-142672%22]]), (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

³³ იხ. ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 96-ე-98-ე პარაგრაფი, [https://hudoc.echr.coe.int/en-g#%22fulltext%22:\[%22togonidze%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-142672%22\]\]](https://hudoc.echr.coe.int/en-g#%22fulltext%22:[%22togonidze%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-142672%22]]), (ბოლოს ნანახია 15.08.2021). აღსანიშნავია, რომ ამ საქმის განხილველმა ერთ-ერთმა მოსამართლემ გადაწყვეტილებას დაურთო ნაწილობრივ განსხვავებული აზრი და დადგინილად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-7 დამატებით ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა, ამასთან დაკავშირებით იხ. მოსამართლის განსხვავებული აზრი, მე-8 პარაგრაფი, [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:\[%22togonidze%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-142672%22\]\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:[%22togonidze%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-142672%22]]) (ბოლოს ნანახია 15.08.2021). ამ განსხვავებული აზრის მოკლე ანალიზთან დაკავშირებით იხ. ციმაკურიძე, ეკატერინე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული ანალიზის დოკუმენტი, გვ. 69 და მომდევნო გვერდი, https://idfi.ge/public/upload/Magda/presentation_on_the_Analysis_of_Legislation_and%20Practice_of_Plea_Bargain/Plea%20Bargain_GEO.PDF (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

ადგენს სსსკ-ის 211-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება. ეს კრიტერიუმი თავის მნიშვნელობას იძენს სასამართლოში, როდესაც ის, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, გადის სასამართლო კონტროლს. კერძოდ, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ნებაყოფლობით, რაიმე უკანონო მეთოდისა თუ უკანონო დაპირების გარეშე. ბრალდებულის ნების თავისუფლების დაცვის მიზანს ემსახურება ასევე სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები, რომლებიც ბრალდებულს, მისი ნების შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადებაზე უარის თქმის ან ასეთი შეთანხმების პირობების შეცვლის უფლებამოსილებით აღჭურავენ. საბოლოოდ, ნებაყოფლობითობა უნდა დადგინდეს მისი პოზიტიური მნიშვნელობის საპირისპიროდ, ნეგატიური გაგებით.

მესამე კრიტერიუმის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მის გარეშე აზრი დაეკარგებოდა სხვა კრიტერიუმებს; შესაბამისად, სასამართლო კონტროლს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საპროცესო შეთანხმების დადების დროს.³⁶ სსსკ ითვალისწინებს ნორმებს, რომლებიც საპროცესო შეთანხმების დადებაზე სწორედ სასამართლოს ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას ისახავს მიზნად, რათა გამოირიცხოს ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება. რეალურად სწორედ მხოლოდ სასამართლოს ხელშია, შესაბამისი გამოკვლევის ჩატარების შედეგად ასეთი შეთანხმების საბოლოოდ გაფორმების საკითხი, ვინაიდან, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე მხოლოდ და მხოლოდ კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, ანგარიში გაუწიოს და ავტომატურად დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.³⁷ ამასთანავე, სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-

მად, მოსამართლე ვალდებულია საფუძვლიანად შეამოწმოს საქმის მასალები და ბრალდებულის აღიარება, რათა დარწმუნდეს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება. მოსამართლე ასევე ამომწმობს პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობას. შედეგად, სსსკ-ის 213-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს დისკრეციას, რომ მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი, საქმე დაუბრუნოს პროკურორს, არსებითად განიხილოს საქმე ან მხარეთა თანხმობით ცვლილება შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში და ამის შედეგად გამოიტანოს განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან თავსებადობაზე და მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე არაერთი მოსაზრება გამოთქმულა, მაგალითად, გერმანულ სისხლის სამართალში.³⁸ ამ ჟურნალის მიზნებიდან გამომდინარე, შედარების სახით, მოკლედ უნდა ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმების გერმანული მოდელი, რომელიც 2009 წელს იქნა კოდიფიცირებული გერმანიის სსსკ-ში (§ 257 c), განსხვავდება ქართული მოდელისაგან³⁹. ძირეული სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიაში საპროცესო შეთანხმება ეფუძნება არა კონსესუალურ, არამედ ობიექტური ქმმარიტების დადგენის პრინციპს⁴⁰, რომელიც ბრალდებულის მიერ ბრა-

³⁸ მაგალითად იხ. *Heger, Martin / Pohlreich, Erol, Strafprozessrecht*, 2. Aufl., 2018, S. 86 ff.; *Heger, Martin / Pest, Robert, ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft)* 126 (2014), 446 ff.; *Meyer-Goßner, Lutz*, in: *Meyer-Goßner, Lutz / Schmitt, Bertram, StPO*, 59 Aufl., 2016, § 257 c, Rn. 1 ff.; იხ. აგრეთვე *Heger, Martin, DGStZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი)* 2/2016, 3, 6, 8 (ქართული ვერსია); ასევე *ცქიტიშვილი, თემურ*, სასჯელი და მისი შეფარდება, 2019, გვ. 247 და მომდევნო გვერდები.

³⁹ ამ განსხვავებასთან დაკავშირებით *ცქიტიშვილი, თემურ*, წიგნი: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 661 და მომდევნო გვერდი; *ცქიტიშვილი, თემურ*, სასჯელი და მისი შეფარდება, 2019, გვ. 248 და მომდევნო გვერდები.

⁴⁰ ის რომ გერმანიის სსსკ-ში არ ჰპოვა ასახვა კონსესუალურმა პრინციპმა, მიუთითებენ *Heger, Martin / Pest, Robert, ZStW* 126 (2014), 446, 448 ff.; საპროცესო შეთანხმების დროს მოსამართლის მიერ ობიექტური ქმმარიტების დადგენაზე მიუთითებს ასევე *Heger, Martin, DGStZ* 2/2016, 3, 5 (გერმანული ვერსია).

³⁶ მსგავსად *დოლიძე, ვერა*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3 2017, 45, 54, რომელიც აანალიზებს მოსამართლის როლს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, 54 და მომდევნო გვერდები.

³⁷ იხ. ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/1/500 განჩინება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩავუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-4, <https://constcourt.ge/kal/judicial-acts?legal=419> (ბოლოს ნანახია 15.08.2021).

ლის აღიარების შემთხვევაში ფორმდება მხარეებსა და მოსამართლეს შორის მხოლოდ სასჯელზე⁴¹.

დასასრულ, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი შეკვეცილი მართლმსაჯულების განხორციელების ინსტრუმენტია. ამიტომ, ქართულ სისხლის სამართალში საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანის პროცესის ფორმალურ პროცედურად მოხსენიება, რომ მოსამართლე თითქოს მხოლოდ ამტკიცებს შეთანხმებას,⁴² ხელს უწყობს აზრის დამკვიდრებას, რომ სასამართლო კონტროლი ფიქციაა. ამან ასევე შეიძლება წაახალისოს სასამართლო კონტროლის შესუსტება მაშინ, როცა სსსკ-ით გათვალისწინებულია ეფექტიანი სასამართლოს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუტი ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის საშუალებაა, როგორებიც არის, მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესის ეკონომია⁴³, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლოს, პროკურორებისა და ადვოკატების განტვირთვა მომეტებული სამუშაოსგან, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა, პატიმართა რაოდენობის შემცირება.⁴⁴

⁴¹ Meyer-Goßner, Lutz, in: Meyer-Goßner, Lutz / Schmitt, Bertram, StPO, 59 Aufl., 2016, § 257 c, Rn. 3, 8 ff.; Heger, Martin / Pohlreich, Erol, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, S. 91 f.

⁴² იხ. მაგალითად ცქიტვილი, თემურ, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 659 და მომდევნო გვერდი.

⁴³ Eser, Albin, DGStZ 3/2019, 76, 82 (ქართული ვერსია); ცქიტვილი, თემურ, სასჯელი და მისი შეფარდება, 2019, გვ. 249 და მომდევნო გვერდი.

⁴⁴ საპროცესო შეთანხმების ამ უპირატესობებზე მიუთითებს სტრასბურგის სასამართლო საქმეზე ნაცელიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, 90-ე პარაგრაფი, <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%7B%22tgonidze%22%7D,%22documentcollectionid%22:%7B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%7D,%22itemid%22:%7B%22001-142672%22%7D%7D>, (ბოლოს ნანახია 15.08.2021); სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანზე მიუთითებს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-11, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=362> (ბოლოს ნანახია 15.08.2021); საპროცესო შეთანხმების უპირატესობებთან დაკავშირებით ასევე Heger, Martin / Pohlreich, Erol, Strafprozessrecht, 2. Aufl., 2018, S. 88.

კაზუსის ამოხსნის მეთოდის გერმანულ სისხლის სამართალში – სტუდენტის პარსეპტივიდან დანახული*

დოროთეა ქინრში, იურიდიული ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი)

I. შესავალი

სამართლის შესწავლის პროცესში გერმანიაში მნიშვნელოვანი როლი აქვს კაზუსის ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას. ამ დროს მკაცრი თანმიმდევრულობის დაცვა არსებითი ფაქტორია, რათა კაზუსში მოცემული ფაქტები სათანადოდ შეფასდეს და შესაძლო ქმედების შემადგენლობების ნიშნები არ დარჩეს ყურადღების მიღმა. კაზუსის ამოხსნისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხისადმი მრავალი ურთიერთგანსხვავებული სამართლებრივი მოსაზრების მისადაგებასა და ჩამოყალიბებას. ქვემოთ მოცემულია კაზუსის ამოხსნის ძირითადი წესები, სტატიის ბოლოს კი ისინი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითის სახით.

II. კაზუსის ამოხსნის ზოგადი წესები

სამართლებრივი დასკვნის სტილში კაზუსის ამოხსნისას მნიშვნელოვანია ზოგადი წესების დაცვა. ეს წესები ქვემოთ, მაგალითშიც არის გათვალისწინებული.

1. დანაშაულის შემადგენლობაზე მსჯელობის თანმიმდევრობა

კაზუსის ამოხსნისას კონკრეტული პირის ქმედებათა ერთობლიობის შეფასება ყოველთვის იწყება ყველაზე მძიმე შესაძლო დანაშაულიდან. თუ კაზუსში კონკრეტული პირის მიერ განხორციელებული დანაშაული სახეზეა და ის წარმოადგენს შესაძლო დანაშაულებს შორის ყველაზე მძიმე დელიქტს, მაშინ ასეთი დანაშაულის შემადგენლობის

შემოწმების შემდეგ აღარ არის საჭირო, რომ მოხდეს იმავე პირის მიერ განხორციელებული, უფრო ნაკლები სიმძიმის მქონე ქმედების შემადგენლობების შემოწმება, თუკი ამ უკანასკნელის შემადგენლობის ნიშნებს მოიცავს უფრო მძიმე დანაშაულის ქმედების შემადგენლობა; მაგალითად, განზრახ მკვლელობის მცდელობის დადასტურების შემდეგ ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების შემადგენლობის დამატებით გამოკვლევა საჭირო აღარ არის. აგრეთვე აუცილებელია, კაზუსის ამოხსნისას თავდაპირველად შეფასდეს სპეციალური დელიქტები, ხოლო შემდეგ – ზოგადი დელიქტები.

2. დანაშაულში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობაზე მსჯელობის თანმიმდევრობა

იმ შემთხვევაში, თუ კაზუსში შესაფასებელია რამდენიმე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს უმართლობასთან ყველაზე ახლოს მყოფი სუბიექტის ქმედება. ქვემოთ მოცემულ მაგალითში მართალია, შეფასების საგანი შესაძლოა ასევე ყოფილიყო S-ის, როგორც „ცოცხალი იარაღის“, დასჯადობის საკითხი, მაგრამ ლოგიკურია, რომ მანამდე უნდა შემოწმდეს, შუალობითი ამსრულებელი არის თუ არის საერთოდ სახეზე კაზუსში. ზოგადი წესის თანახმად, კაზუსში უნდა მოხდეს ჯერ დანაშაულის ამსრულებლის და შემდეგ მონაწილის ქმედებების შეფასება.

3. მთავარი წინადადების ჩამოყალიბების წესი

მთავარ წინადადებაში, იგივე ჰიპოთეზაში, ისმება დანაშაულის შემადგენელი ელემენტების შემოწმების საკითხი. ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისას

* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა აზა მორგოშიამ.

გასათვალისწინებელია შემდეგი ფორმულა: „ვის, რისი მეშვეობით, ვის მიმართ, შეეძლო რომელი დანაშაულის ჩადენა?“. იქიდან გამომდინარე, რომ კაზუსის მთავარი წინადადების მიზანია შესამოწმებელი ჰიპოთეზის დაყენება, აუცილებელია მისი ფორმულირება ვარაუდის ფორმით (კავშირებითი კილოთი). კარგი ჰიპოთეზის მაგალითი ასეთი იქნებოდა: „T-მ O-სთვის მუცელში დანით ჭრილობის მიყენებით შესაძლოა ჩაიდინა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის¹ 212-ე პარაგრაფის I აბზაცით გათვალისწინებული დანაშაული“. მნიშვნელოვანია, რომ ჰიპოთეზაში არ იქნეს ქმედების შემადგენლობის აბსტრაქტული ნიშნები ნახსენები; კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მცდარი იქნებოდა შემდეგი ჰიპოთეზა: „T-მ O-ს მკვლელობით შესაძლოა ჩაიდინა გსსკ-ის 212-ე პარაგრაფის I აბზაცით გათვალისწინებული დანაშაული“.

4. დასკვნის სტილი

კაზუსის ამოხსნის დროს დასკვნის სტილის დაცვა პრობლემატურ პუნქტებთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თავდაპირველად ყალიბდება მთავარი წინადადება, იგივე ჰიპოთეზა, რომელშიც ვარაუდის სახით დასმულია კონკრეტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობის კონკრეტული ნიშნის რელევანტურობის საკითხი კაზუსში აღწერილ ქმედებასთან მიმართებით. მაგალითად: „O-სთან მიმართებაში განხორციელებული უნდა იყოს ფიზიკური ხელყოფა“. მთავარ წინადადებას მოჰყვება ქმედების შემადგენლობის სათანადო ნიშნების განმარტება, ხოლო შემდეგ – სუბსუმცია, რომლის ფარგლებშიც დგინდება, კაზუსში მოცემული ფაქტები და გარემოებები ემთხვევა თუ არა ქმედების შემადგენლობის კონკრეტული ნიშნის დეფინიციას. ბოლოს კი მსჯელობის შედეგად ყალიბდება დასკვნა. გამოცდაზე სტუდენტებს ხშირად არ აქვთ საკმარისი დრო და ადგილი ქმედების შემადგენლობის ყველა ცალკეული ნიშნის განხილვისთვის, შესაბამისად, არაპრობლემატური საკითხების განხილვისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს განაჩენის სტილი. კაზუსის სამართლებრივი შეფასების ავტორს შეუძლია, მსჯელობაში საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრითაც კი გა-

მოავლინოს, რომ მან კაზუსი და მისი სამართლებრივი პრობლემები სწორად გააცნობიერა.

5. განსხვავებული მოსაზრებების განხილვა

გარკვეული სტრუქტურის დაცვა მნიშვნელოვანია სადავო სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების განხილვის დროსაც. თავდაპირველად სახელდება და მოკლედ განიმარტება კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემებთან მიმართებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები (თეორიები). თითოეულ მოსაზრებას უნდა ახლდეს შეფასება იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვება მოცემულ შემთხვევასთან კონკრეტული თეორიის მისადაგებას. თუ განსხვავებულ მოსაზრებებს სხვადასხვა შედეგამდე მიჰყავს ქმედების შემფასებელი, აუცილებელია, სადავო საკითხი ერთი მოსაზრების სასარგებლოდ გადაწყდეს, თუმცა ამ დროს უნდა იქნეს ყველა მოსაზრების არგუმენტები წარმოდგენილი. ამასთანავე, კაზუსის ამოხსნისას შეფასებები სასურველია, არ იყოს გამოხატული პირველ პირში (მაგალითად, „ჩემი შეფასებით“), რადგან არგუმენტაცია ობიექტურად დამაჯერებელი უნდა იყოს. სადავო სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის მაგალითი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ კაზუსში, „აცდენილი ისრის“ (*aberratio ictus*) სამართლებრივ შეფასებაზე მსჯელობაში.

III. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები

ჰაინცმა (H) მიიღო შოკი, როცა მოულოდნელად შეიტყო ამბავი მისი მეგობარი გოგონას, ფრაუკეს (F), არასასურველი ორსულობის შესახებ. ჰაინცს უფრო და უფრო აღიზიანებდა ეს ამბავი რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა შვილის (K) დაბადებამდე, რომელიც რამდენიმე კვირაში უნდა დაბადებულიყო. მან გადაწყვიტა ფრაუკესა (F) და მისი ჯერარდაბადებული შვილის (K) თავიდან მოშორება, რადგან მის სამომავლო გეგმებს არევის საფრთხე ემუქრებოდა და მას, რაც მთავარია, დიდი ოდენობით ალიმენტის გადახდის ვალდებულება დაეკისრებოდა. თუმცა H-ს მორალურად არ შეეძლო მათი მოკვლა საკუთარი ხელით. შესაბამისად, მან ფრაუკეს საუკეთესო მეგობარ სიმონს

¹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც გსსკ.

(S) მოუყვა, რომ თითქოს ფრაუკე თავს მარტოსულად გრძნობდა, არავის ესაუბრებოდა, ორსულობის გამო ძალიან გადაღლილი იყო და ამასთანავე, მასთანაც არ საუბრობდა აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად, მან სთხოვა S-ს, ფრაუკესთან ერთად რამე სასიამოვნო გაეკეთებინა. მან S-ს გადასცა ერთი ბოთლი ცივი ლუდი, ასევე თავისი ხელით მომზადებული მწვანე სმუზი და სთხოვა: „დღეს საღამოს ფრაუკესთან ერთად პარკში გაისეირნე, მხოლოდ თქვენ ორმა ისაუბრეთ. აქ შენთვის ლუდია, ხოლო მისთვის – მისი საყვარელი ისპანახის სმუზი. იქნებ შეძლო ფრაუკეს გახალისება.“ S-მა არ იცოდა, რომ H-მა ისპანახის სასმელში საწამლეო ვაზინი, რომლის მცირე დოზით მიღებასაც კი სასიკვდილო შედეგი მოაქვს. H დარწმუნებულია, რომ ერთი ყლუპი სმუზიდან კი ფრაუკეს მოსაკლავად საკმარისი იქნებოდა.

მეგობრის დახმარების მსურველი S მართლაც წავიდა ფრაუკესთან ერთად პარკში სასეირნოდ, მაგრამ თან წაიყვანა მათი საერთო მეგობარი ტატიანაც (T), რაც H-ს არ გაუთვალისწინებია. მადლიერმა ფრაუკემ უარი თქვა სმუზის დაღევაზე, რადგან ის თავს ცუდად გრძნობდა, ამიტომ S-მა სასმელი T-ს გადასცა, რომელმაც მისი გასინჯვა მოისურვა. პირველივე ყლუპის შემდეგ T-ს ბოთლი ხელიდან გაუვარდა, ყელზე ხელი მოიკიდა, სკამის წინ მიწაზე დაეცა და ხმაურიანი სუნთქვით კრუნჩხვა დაეწყო. მისი გადარჩენა მოხერხდა მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით.

გსსკ-ით გათვალისწინებული რომელი დანაშაული ჩაიდინა H-მა?

აუცილებელი სისხლისსამართლებრივი საჩივრები წარდგენილად შეიძლება ჩაითვალოს.

IV. კაზუსის ამოხსნა

1. S-ის მეშვეობით T-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსსკ-ის §§ 212 I, 211, 22, 23 I ალტერნატივა 1, 12 I, 25 I ალტერნატივა 2)

H-ს მიერ S-ისთვის გადაცემული მონამულული სასმლის T-ის ორგანიზმში მოხვედრით, H-მა შესაძლოა ჩაიდინა გსსკ-ის §§ 212 I, 211, 22, 23 I პირვე-

ლი ალტერნატივით, 12 I, 25 I მეორე ალტერნატივით გათვალისწინებული დანაშაული.

ა) წინასწარი შემოწმება

აა) შედეგის არდადგომა

T კიდევ ცოცხალია. შესაბამისად, მისი მკვლელობის მცდელობა წარუმატებელია.

ბბ) მცდელობის დასჯადობა (გსსკ-ის §§ 211, 23 I პირველი ალტერნატივა, 12 I)

კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა, განზრახ მკვლელობის მცდელობა სისხლისსამართლებრივად დასჯადი იყოს. გსსკ-ის §§ 211, 12 I-ის თანახმად, განზრახი მკვლელობა არის მძიმე დანაშაული (Verbrechen).² მძიმე დანაშაულის მცდელობა კი ყოველთვის დასჯადია (გსსკ-ის § 23 I პირველი ალტერნატივა).

ბ) ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (მოქმედების ჩადენის გადანყვეტილება)

H-ს უნდა ჰქონოდა განზრახვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის მიმართ. მოქმედების ჩადენის გადანყვეტილება (Tatentschluss) შეესაბამება დამთავრებულ დელიქტის განზრახვას და ის უნდა მოიცავდეს ყველა აუცილებელ სუბიექტურ ელემენტს.

აა) ქმედების შერაცხვა (გსსკ-ის § 25 I მეორე ალტერნატივა)

იმისთვის რომ H-ს შერაცხოს S-ის ქმედება (მონამულული სასმლის T-ისთვის გადაცემა), საჭიროა, დადასტურდეს, რომ H-ს ჰქონდა S-ს ქმედებაზე ბატონობა.³ შუალობითი ამსრულებლობისას, ქმედების უკან მდგომ პირს (Hintermann) ქმედებაზე ბატონობა აქვს იმ შემთხვევაში, თუკი ის ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად მოქმედებს არა თავად, არამედ სხვა პირს, როგორც „ცოცხალ იარაღს“, იყენებს.⁴ შუალობითი ამსრულებლობის დასადგენად, მოცემულ კაზუსში სახეზე არ უნდა გვექონდეს S-ის მიერ ქმედების შემადგენლობის

² იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ ტერმინს გსსკ-ით აქვს მინიჭებული.

³ BGHSt 40, 218, 236; von der Meden, Philip, JuS 2015, 22, 25; Murmann, Uwe, in Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, 5. Aufl. 2021, § 25 Rn. 4.

⁴ Heine, Günter in Schönke/Schröder, StGB, 30. Aufl. 2019, § 25 Rn. 7.

განზრახ, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გსსკ-ის თანახმად, ის თავად იქნებოდა დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებელი და მისი ქმედება სხვას ვერ შეერაცხებოდა.⁵

პირველ რიგში, S-ს უნდა ემოქმედა განზრახვის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, S-ის ქმედება ჩაითვლება არაგანზრახად, თუკი H-მა ის ქმედების შემადგენლობის შეცდომაში (გსსკ-ის § 16 I 1) შეიყვანა და S, ფაქტობრივი შეცდომიდან გამომდინარე, მოქმედებდა როგორც კეთილსინდისიერი ამსრულებელი.⁶ ქმედების შემადგენლობაში შეცდომა (Tatbestandsirrtum) სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს ცოდნა იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებსაც ქმედების შემადგენლობა ეფუძნება.⁷ S-მა მიიჩნია, რომ H-მა მას ჩვეულებრივი სმუზი გადასცა. მან სასმელში გარეული საწამლავის თაობაზე არაფერი იცოდა. ამგვარად, S ჰქონდა არასწორი ინფორმაცია ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც H-ს მიერ განზრახ იყო გამოწვეული. ამრიგად, S არ მოქმედებდა განზრახვით, ხოლო მისი დასჯადობის წინაპირობები არ არის სახეზე. S-ის ქმედება შეიძლება შეერაცხოს H-ს.

ბბ) T-ს მოკვლის განზრახვა

(1) შეცდომა პიროვნებაში (error in persona) თუ

„აცდენილი ისარი“ (aberratio ictus)

გსსკ-ის მე-15 პარაგრაფის თანახმად, საჭიროა, შუალობით ამსრულებელს ჰქონდეს განზრახვა ქმედების შემადგენლობით განსაზღვრული შედეგის მიმართ. H-ს სურდა S-ის მეშვეობით F-ს და არა T-ს მოკვლა. საკითხავია, უნდა შეერაცხოს თუ არა H-ს S-ს მიერ განხორციელებული T-ის განზრახვი მკვლელობის მცდელობა იმის მიუხედავად, რომ S-მა დანაშაულის ობიექტში შეცდომა დაუშვა. აქ გადამწყვეტია, თუ რა სახის სამართლებრივი შეცდომა დაუშვა „ცოცხალმა იარაღმა“ – სახეზეა შეცდომა პიროვნებაში თუ „აცდენილი ისარი“, რადგან თითოეულ შემთხვევას განსხვავებული სა-

მართლებრივი შედეგები აქვს.⁸ იმის დასადგენად, თუ შეცდომის რომელ სახეს მოიცავს კონკრეტული შემთხვევა, გონივრულია, რომ გამოყენებულ იქნეს დისტანციური შემთხვევების კონკრეტიზაციის მეთოდი. ეს მეთოდი იმით ხასიათდება, რომ დამნაშავე მოქმედებს არა უშუალოდ დანაშაულის ადგილას, არამედ – შორიდან, დისტანციურად.⁹ აღნიშნული მეთოდი შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევებსაც ესადაგება. შეცდომის შეერაცხვისათვის აუცილებელია H-ის მიერ ობიექტის ინდივიდუალიზაციისთვის განეული ძალისხმევის გათვალისწინება.

შეცდომა პიროვნებაში სახეზე იქნებოდა, თუ შუალობითი ამსრულებელი რამდენიმე მითითებული კრიტერიუმის საფუძველზე „ცოცხალ იარაღს“ თავად მიანდობდა ობიექტის ინდივიდუალიზაციას, ხოლო „ცოცხალი იარაღი“ იდენტიფიცირებული ობიექტის მიმართ შეცდომით განახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებას. „აცდენილი ისარი“ კი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ შუალობითი ამსრულებელი „ცოცხალ იარაღს“ აწვდის ზუსტ ინფორმაციას, არ უტოვებს ობიექტის იდენტიფიკაციისთვის თავისუფალ სივრცეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, „ცოცხალი იარაღი“, როგორც დეფექტური ინსტრუმენტი, მოქმედებს შეცდომით სხვა პირის მიმართ.¹⁰

მოცემულ შემთხვევაში H-მა S-ს ცალსახა მითითებები მისცა, კერძოდ, ვისთან ერთად უნდა წასულიყო პარკში სასეირნოდ და ვისთვის იყო სმუზი განკუთვნილი. H-ს არ დაუშვია, რომ შესაძლოა T-ც იქ ყოფილიყო. შესაბამისად, სამიზნე პიროვნებაში შეცდომა გამოიწვია არა H-ის მიერ (შუალობითი ამსრულებლის მიერ) „ცოცხალი იარაღისთვის“ არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდებამ, არამედ, უბრალოდ, T-ის სასეირნოდ წაყვანამ და მისმა ცნობისმოყვარეობამ. ამრიგად, ვინაიდან დანაშაულის მცდარი მიმართულებით განვითარებას H წინასწარ ვერ განჭვრეტდა, სახეზეა „აცდენილი ისრის“ შემთხვევა (aberratio ictus).

⁵ BGH, NSTz 2013, 104; Lackner/Kühl, StGB, 29. Aufl. 2018, § 25 Rn. 2.

⁶ BGH, NJW 1982, 1164; Rengier, Rudolf, Strafrecht Allgemeiner Teil, 12. Aufl. 2020, 43/12.

⁷ Sternberg-Lieben, Detlev/Sternberg-Lieben, Irene, JuS 2012, 289, 290.

⁸ Streng, Franz, JuS 1991, 910, 917; Koriath, Heinz, JuS 1997, 901, 907.

⁹ El-Ghazi, Mohamad, JuS 2016, 303, 305; Nestler, Ninal Prochota, Philipp, Jura 2020, 560, 560.

¹⁰ Streng, Franz, JuS 1991, 910, 916; Heine, Günter in Schönke/Schröder, StGB, 30. Aufl. 2019, § 25 Rn. 55.

(2) „აცდენილი ისრის“ სამართლებრივი შეფასება

„აცდენილი ისრის“ სამართლებრივი შეფასება, სხვადასხვა თეორიის მიხედვით, სადავოა. კონკრეტულობის თეორიის თანახმად, „აცდენილი ისრის“ შემთხვევაში განზრახვა გსკ-ის მე-16 პარაგრაფის I აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად გამოირიცხება. ამ თეორიის მიხედვით, ვინაიდან პირის განზრახვა კონკრეტულ ობიექტს მიემართება, მხოლოდ ამ კონკრეტული ობიექტის მიმართ დამდგარი შედეგისადმი შეიძლება არსებობდეს განზრახვის ელემენტი; ამ თეორიის გაზიარების შემთხვევაში, H-ს არ ჰქონია T-ს მკვლელობის განზრახვა.

თანაბარღირებულებათა ფორმალური თეორია „აცდენილი ისრის“ კონფიგურაციას სტრუქტურული თვალსაზრისით აფასებს ისე, როგორც არარელევანტურ შეცდომას პიროვნებაში. ამ თეორიის თანახმად, გადამწყვეტია მხოლოდ ის, რომ სამიზნე ობიექტი და ფაქტობრივად ხელყოფილი ობიექტი ქმედების შემადგენლობის ფარგლებში თანაბარი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთეები იყოს. ასეთ შემთხვევაში (მათ შორის, წარმოდგენილ კაზუსში) განზრახვა ყოველთვის სახეზე იქნება.

ვინაიდან ზემოხსენებულ თეორიებს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგამდე მივყავართ, საჭიროა, სადავო საკითხი სათანადოდ გადაწყდეს. თანაბარღირებულებათა ფორმალური თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ, კანონის თანახმად, განზრახვა უნდა უთითებდეს სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის ზოგად (გვაროვნულ) ნიშნებზე და არა მის იდენტობაზე. თუმცა აქ მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, შედეგი განზრახული იყო კონკრეტულ ობიექტის მიმართ თუ იმავე გვარის ნებისმიერი ობიექტის მიმართ. თუ პირის განზრახვა ქმედების განხორციელებამდე კონკრეტული ობიექტისკენ იყო მიმართული და შედეგი სხვა ობიექტის მიმართ დადგა, მაშინ ითვლება რომ ამ ობიექტის მიმართ შედეგის დადგომა შემთხვევითობამ გამოიწვია.

თანაბარღირებულებათა თეორია სრულყოფილად ვერ აფასებს ამ განსხვავებას. ამასთანავე, ამ თეორიის საპირისპიროდ მეტყველებს აუცილებელი მოგერიების არგუმენტი:¹¹ თუ პირი თავდაცვის მიზნით, გსკ-ის 32-ე პარაგრაფის ფარგლებში,

დანაშაულში არამონაწილე მესამე პირს მოკლავდა, ის დამთავრებული ქმედებისთვის, განზრახ მკვლელობისთვის უნდა დასჯილიყო. ამგვარი შედეგი კი არ არის სამართლიანი. ამრიგად, არგუმენტები უმეტესად თანაბარღირებულებათა თეორიის წინააღმდეგ უთითებენ. H მოქმედებდა T-ის მკვლელობის მიმართ განზრახვის გარეშე.

გ) შედეგი

H-ს არ ჩაუდენია გსკ-ის §§ 212 I, 211, 22, 23 I პირველი ალტერნატივა, 12 I, 25 I მეორე ალტერნატივით გათვალისწინებული მკვლელობის მცდელობა T-ს მიმართ.

2. S-ს მეშვეობით T-ს ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსკ-ის §§ 223 I, 224 I პუნქტი 1 ალტერნატივა 1, პუნქტი 3, 5, 25 I ალტერნატივა 2)

H-ს შესაძლო დასჯადობა გსკ-ის §§ 223 I, 224 I Nr. 1 Alt. 1, Nr. 3, 5, 25 I Alt. 2-ის შესაბამისად გამოირიცხება, რადგან არ არსებობს განზრახვის ელემენტი (იხილეთ ზემოთ).

3. T-ს მიმართ ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანება (გსკ-ის § 229)

H-მ S-ისთვის მონამლული სასმლის გადაცემით შესაძლოა ჩაიდინა გსკ-ის 229-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული.

ა) ქმედების შემადგენლობა

ა) შედეგი

საჭიროა, T-ს ჰქონდეს სხეულის ხელყოფა ან ზოგადად ჯანმრთელობის დაზიანება გსკ-ის 223 პარაგრაფის I აბზაცისა და 229-ე პარაგრაფების შესაბამისად. სხეულის ხელყოფა გულისხმობს ნებისმიერ მავნე და არასათანადო მოქმედებას, რომელიც სხეულის ნორმალურ მდგომარეობას უმნიშვნელოზე მეტად აზიანებს. ჯანმრთელობის დაზიანებაში იგულისხმება პათოლოგიური მდგომარეობის გამოწვევა, გაუარესება ან გახანგრძლი-

¹¹ Rengier, Rudolf, Strafrecht Allgemeiner Teil, 12. Aufl. 2020, 15/35.

ვება (შენარჩუნება).¹² სმუზის დაღვევის შემდეგ T-მ დაკარგა გონება და ჰქონდა მძიმე სუნთქვითი უკმარისობა. ამრიგად, გსსკ-ის 223-ე პარაგრაფის I აბზაცით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.

ბბ) ქმედება

სმუზის T-თვის მიწოდება S-მა, როგორც H-ს „ცოცხალმა იარაღმა“, განახორციელა (იხ. ზემოთ).

გვ) მიზეზობრიობა

ქმედება T-ს ჯანმრთელობის დაზიანებასთან მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს. *Conditio-sine-qua-non*-ის ფორმულის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ქმედების გამორიცხვით გამოირიცხება ქმედების შემადგენლობით განსაზღვრული შედეგის დადგომა.¹³ T-სთვის სმუზის მიწოდების გარეშე, არ დადგებოდა დამაზიანებელი შედეგი. ამრიგად, მიზეზობრივი კავშირი სახეზეა.

დდ) წინდახედულობის ნორმის ობიექტური

დარღვევა

H-ს უნდა დაერღვია ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე წინდახედულობის ნორმები ობიექტური გაგებით. ნორმალური იერსახის მქონე სმუზის სხვა ადამიანისთვის გადაცემა და მისით მონამვლა, რომელმაც არაფერი იცის სასმლის მომწამვლელ თვისებაზე, საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ამ სასმელთან მოვა კონტაქტში. ამრიგად, H-მა ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე წინდახედულობის ნორმები ობიექტურად ყურადღების მიღმა დატოვა.

ეე) ობიექტური შერაცხვა

საჭიროა, ქმედების შემადგენლობით განსაზღვრული შედეგის დადგომა H-ის მიერ მისი მოვალეობის საწინააღმდეგოდ განხორციელებულ ქმედებას ეფუძნებოდეს. ჯანმრთელობისთვის საშიში საკვების სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა გერმანიის სურსათის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და საკვების უსაფრთხოების კოდექსის (LFGB) 5-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის 1 წინადადების თანახ-

მად, აკრძალულია. შესაბამისად, H-მა მონამლული სმუზის მიწოდებით იმოქმედა თავისი მოვალეობის საპირისპიროდ. მართალია, H-მა S-ს ზუსტი მითითებები მისცა, მათ, შორის, იმის შესახებ, თუ ვისთვის უნდა გადაეცა სმუზი, მაგრამ მონამლული სასმლის კეთილსინდისიერი ადამიანისთვის გადაცემა ყოველთვის საფრთხის შემცველია, რადგან შესაძლოა, ამ ადამიანმა დამნაშავეს გეგმის მიხედვით არ იმოქმედოს. ამრიგად, ასეთ შემთხვევაში, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით, სხვა ადამიანის მონამვლა არ არის გამორიცხული. შესაბამისად, შედეგი ობიექტურად განჭვრეტადი იყო და ის ობიექტურად შეერაცხება H-ს.

ბ) მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არ არის სახეზე.

გ) ბრალი

საჭიროა, დამნაშავეს, პერსონალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეეძლოს ობიექტური წინდახედულობის ნორმების შეცნობა და შესრულება.¹⁴ H-მა იცოდა, რომ მონამლული სასმლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა არ შეესაბამებოდა წინდახედულობის ზოგად ნორმებს. ამასთანავე, H-სთვის განჭვრეტადი იყო მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის ამგვარი განვითარება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ არსებობდა მონამლული სასმლით სხვა ადამიანის მონამვლის საფრთხე (**წინდახედულობის ნორმის დაცვის და შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა**).

დ) სისხლისსამართლებრივი საჩივარი

გსსკ-ის 230-ე პარაგრაფის I აბზაცის 1-ლი წინადადების 1-ლი ალტერნატივის თანახმად, საჭიროა, T-ს წარდგენილი ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი საჩივარი. ასეთი საჩივარი წარდგენილად შეიძლება ჩავთვალოთ.

ე) შედეგი

H-მა ჩაიდინა T-ს ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანება, რაც წარმოადგენს გსსკ-ის 229-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას.

¹² Lackner/Kühl, StGB, 29. Aufl. 2018, § 223 Rn. 4,5.

¹³ Eisele, Jörg in Schönke/Schröder, StGB, 30. Aufl. 2019, § 13 Rn. 73a.

¹⁴ Hardtung, Bernhard in: Münchner Kommentar zum Strafgesetzbuch, Band 1, 4. Aufl. 2020, § 222 Rn. 63.

V. H-ს მიერ განხორციელებული სხვა შესაძლო ქმედების შემადგენლობები

1. H-ს მიერ S-ის მეშვეობით F-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსსკ § 212 I, § 211, § 22, § 23 I ალტ. 1, § 12 I, § 25 I ალტ. 2)
2. H-ს მიერ S-ს მეშვეობით F-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობა შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსსკ § 223 I, § 224 I Nr. 1 Alt. 1, Nr. 3, 5, II, § 22, § 23 I ალტ. 2, 25 I ალტ. 2)
3. H-ს მიერ S-ის მეშვეობით K-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსსკ § 212 I, § 211, § 22, § 23 I ალტ. 1, § 12 I, § 25 I ალტ. 2)
4. H-ს მიერ S-ის მეშვეობით ორსულობის შეწყვეტის მცდელობა შუალობითი ამსრულებლობის ფორმით (გსსკ § 218 I, IV 1, § 22, § 23 I ალტ. 2, § 12 II, § 25 I ალტ. 2)

VI. დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი მითითებები გამოსადეგია კაზუსის ამოხსნის ფარგლებში გამართული სტრუქტურის მქონე და კვალიფიციური სამართლებრივი შეფასების მოსამზადებლად. თუმცა, ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუდმივი პრაქტიკა, რათა სამართლებრივი დასკვნის წერის სტილი უწყვეტად განვითარდეს და არასაკმარისი დროის პირობებშიც მოხერხდეს დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება. ეს ეხება არამართო სისხლის სამართალს, არამედ სამართლის მეცნიერების ნებისმიერ სფეროს.